Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

№26, თებერვალი, 2024

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ასახვა სასკოლო კურსის „საქართველოს ისტორიის“ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის გრიფირებულ სახელმძღვანელოებში

ვანო გომურაშვილი

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: gomurashvilivano2001@gmail.com

აბსტრაქტი

ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები გადამწვეტ როლს ასრულებენ სკოლებსა და განათლების სისტემაში, რათა მოსწავლეებს მიეწოდოს ისტორიული მოვლენებისა და პერსპექტივების სტრუქტურირებული და ხელმისაწვდომი ნარატივები. უფრო ფართო გაგებით, განათლების სისტემაში ისტორიის სასკოლო სახელძღვანელოები ხელს უწყობს მოსწავლის მეხსიერების, კულტურული იდენტობისა და კრიტიკული აზროვნების უნარის ჩამოყალიბებას. აღნიშნული კვლევა შეისწავლის იმას, თუ რა თავისებურებებით არის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი ასახული ისტორიის სასკოლო სახელძღვანელოებში. კერძოდ, სამი გამომცემლის „დიოგენეს", „ლოგოს პრესისა" და „ბაკურ სულაკაურის" სასკოლო კურსის „საქართველოს ისტორიის" მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის გრიფირებულ სახელმძღვანელოებში როგორ არის ასახული ისტორიის სახელმძღანელოებისთვის აუცილებელი სამი ინდიკატორი: 1. კრიტიკული და ქრონოლოგიური ნარატივები; 2. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ნარატივები; 3. სოციალური კონტექსტის გავლენა ომის ასახვაზე. შესაბამისად, ნაშრომის მიზანია, დადგინდეს, რა ნარატივებით ხასიათდება სახელძღვანელოებში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ასახვა და რამდენად თავსებადია ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და მიდგომებთან. გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუ, საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურისა და თეორიების მიმოხილვა და ფოკუს ჯგუფი. საკითხი აქტუალურია ვინაიდან და რადგანაც ქართული საგანმანათლებლო და პოლიტიკური სისტემისთვის სიახლეა და გამოწვევაა თანამედროვე ომის ასახვა ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში ისე, რომ დაცული იყოს ყველა სტანდარტი და ამავდროულად სახელმძღვანელოში არსებობდეს თავისუფალი და მიუკერძოებელი მრავალფოკუსიანი ნარატივები.

საკვანძო სიტყვები : პოლიტიკა, ისტორია, 2008 წლის აგვისტოს ომი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა

შესავალი

ისტორიასა და პოლიტიკას შორის ურთიერთობა რთული და მრავალმხრივი პროცესია. არსებობს მრავალი მიზეზი, რატომაც თანამედროვე ისტორიული მოვლენების სწორად მიწოდება მნიშვნელოვანია სკოლის მოსწავლეებისათვის. თანამედროვე ისტორიის შესახებ ანალიზი უნდა იყოს უწყვეტი პროცესი, რომელსაც შეუძლია გააუმჯობესოს მის გარშემო არსებული პრობლემები. მოსწავლეების ჩამოყალიბება და მათთვის სწორი ისტორიული ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფოს განათლების პოლიტიკის ძირითადი ორიენტირის მაჩვენებელია (Tyack, 2003).

უახლესი ისტორიის სწორად მიწოდება, სახელმძღვანელოს გამოყენებით, მოსწავლეს ეხმარება დაადგინოს, რატომ არის ყველაფერი ისეთი, როგორიც არის და გააანალიზოს, თუ როგორ შეიცვალა და განვითარდა საზოგადოება დროთა განმავლობაში. ადამიანებს შეუძლიათ,

ისწავლონ ისტორიიდან, მაგრამ ასევე შეუძლიათ საკუთარი თავის მოტყუება, როდესაც შერჩევით იღებენ წარსულის მტკიცებულებებს უკვე გადაწყვეტილის გასამართლებლად (Lange & Kelley, 19971). აქედან გამომდინარე, ისტორიის სახელმძღვანელოში ყველაზე კომპლექსური თანამედროვე ომის ასახვაა. რეალურად კი, ომის ზუსტად ასახვა ისტორიის სახელმძღვანელოებში გადამწყვეტია ნარატივების დამახინჯების თავიდან ასაცილებლად (Nussbaum, 2013).

განსხვავებული ავტორები განსხვავებულად ხედავდნენ ომის ასახვას ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში. ომის ადამიანური დანაშაულებების გულწრფელმა ასახვამ შეიძლება, გამოიწვიოს უფრო ინფორმირებული და პასუხისმგებლიანი მოქალაქეების განვითარება, რომლებიც ნაკლებად სავარაუდოა, რომ მხარს დაუჭერენ ან ჩაერთვებიან მომავალ კონფლიქტებში (Bentrovato,2017). გარდა ამისა, არსებობდნენ მოაზროვნეები, რომლებიც ხაზს უსვამდნენ ისტორიის სახელმძღვანელოებში ომის თემატიკის ასახვის აუცილებლობას, რომ წიგნებში თარიღების უბრალო რეციდივის მიღმა, აუცილებელია, მოსწავლეებს დარჩეთ სივრცე, რათა გააანალიზონ პროცესი სხვადასხვა განზომილებით. აღნიშნული მათ დასკვნების გამოტანის პროცესს გაუმარტივებთ (Wineburg,2001). ავტორები ყურადღებას ამახვილებენ ომის ზუსტი და ნიუანსირებული ასახვის მნიშვნელობაზე ისტორიის სახელმძღვანელოებში და აღნიშნავენ, რომ ეს აუცილებელი და საჭირო რამ გახლავთ წარსულის მაქსიმალურად ყოვლისმომცველად აღქმისთვის. ისინი ამტკიცებენ, რომ ფაქტებისა და მონაცემების დეტალურ მიწოდებას შეუძლია, დაეხმაროს სტუდენტებსა და მკითხველებს ომის ეთიკური, სოციალური და პოლიტიკური განზომილებების დაძლევაში. ეს, საბოლოოდ, ხელს შეუწყობს უფრო ინფორმირებული და გააზრებული მოქალაქეების ჩამოყალიბებას (Barnes, 2022).

ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ თანამედროვე ომების ზუსტი ასახვა ისტორიის სახელმძღვანელოებში ქართული საგანმანათლებლო და პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. შესაბამისად 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის თემატიკის ასახვა ისტორიის სახელმღვანელოებში საკითხს მეტ აქტუალურობას სძენს.

ლიტერატურის მიმოხილვა

თანამედროვე ომის ასახვა ისტორიის სასკოლო სახელძღვანელოებში მნიშვნელოვანი კომპონენტია მოსწავლეებისთვის ისტორიული მოვლენების ყოვლისმომცველი გაგებისთვის. თანამედროვე ომის სასწავლო პროგრამაში ინტეგრირება სხვადასხვა საგანმანათლებლო სარგებელს იძლევა და ხელს უწყობს კარგად ინფორმირებული და კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებების ჩამოყალიბებას. უახლესი კონფლიქტების ნარატივების ჩართვა აუცილებელია ისტორიის სახელმძღვანელოსთვის, რათა ასახავდეს თანამედროვე სამყაროს დინამიკურ მოვლენებს და სტუდენტებს სთავაზობდეს ობიექტურ გარემოს იმ სირთულეების შესახებ, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ჩვენი გლობალური ლანდშაფტი (Jackson, 2014).

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ომის ასახვა ისტორიის სასკოლო სახელძღვანელოებში ხელს უწყობს გლობალურად მოაზროვნე მოქალაქის ფორმირებას და მასში აღძრავს პასუხისმგებლობასა და ურთიერთდაკავშირების გრძნობას. სტუდენტები აცნობიერებენ თავიანთ,

გლობალური მოქალაქეების, როლს და ისტორიული მოვლენების გავლენას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონზე (Pacho, 2020).

ავტორთა უმრავლესობა თანხმდება, რომ თანამედროვე ომის ნარატივები სასკოლო სახელძღვანელოში უდიდეს როლს თამაშობს კრიტიკული აზროვნების მქონე მოსწავლის ჩამოყალიბების პროცესში. ბოლოდროინდელი კონფლიქტების მიზეზების, ეთიკური შედეგების გაანალიზებით, სტუდენტები იუმჯობესებენ თავიანთ ანალიტიკურ უნარებს და ავითარებენ ნიუანსურ პერსპექტივას ისტორიულ სირთულეებზე (Paxton, 1999). ზოგიერთი ავტორი სასკოლო სახელძღვანელოებში თანამედროვე ომების ნარატივების ასახვას აფასებს, როგორც იმგვარი მოქალაქის ჩამოყალიბების წანაპირობას, რომელიც ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს იღებს. კონფლიქტების ისტორიული კონტექსტის გააზრება ამზადებს მოსწავლეებს თანამედროვე გამოწვევებზე რეაგირებისთვის. აღნიშნული ხელს უწყობს მათ, რომ მიიღონ კარგად ინფორმირებული გადაწყვეტილებები (Coffman,2014). ავტორთა უმრავლესობა თანხმდება, რომ ისტორიის სახელმძღვანელოებში თანამედროვე ომის ასახვა არ არის მხოლოდ ბრძოლების მოთხრობა; ეს არის არსებითი მცდელობა, რომელიც აყალიბებს მომავალი თაობების გონებას (Townshend,1997).

თანამედროვე ომის სირთულეების შესწავლა და დისკუსიები ომის მნიშვნელოვნად ასახვაზე ისტორიის სასკოლო სახელძღვანელოებში არის მთავარი ინდიკატორი, რომელიც გვაფიქრებინებს, რამდენად არის სახელძღვანელო შედეგზე ორიენტირებული (Freedman, 2013).

სხვადასხვა ავტორის მოსაზრება ცხადყოფს, რომ წარსულისა და აწმყოს შეჯახებით, გლობალური მოქალაქეობის ხელშეწყობით, ეთიკური დისკუსიების წაქეზებით, მრავალფეროვნების მიღებითა და კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობით, თანამედროვე ომის ნარატივების ჩართვა შეუცვლელია. როდესაც ისტორიის სახელმძღვანელოები ავრცელებენ ამ ნარატივებს, ისინი გზას უხსნიან ინფორმირებულ, ეთიკურად შეგნებულ და გლობალურად გაცნობიერებულ მოქალაქეებს, რაც უზრუნველყოფს წარსულის გაკვეთილების მნიშვნელოვან გაგებას აწმყოსა და მომავალში.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია, დადგინდეს, თუ რა თავისებურებებით ხასიათდება „საქართველოს ისტორიის“ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის გრიფირებულ სახელმძღვანელოებში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, ამასთან, ნაშრომის მიზანია, განვსაზღვროთ, რამდენად შეესაბამება ეროვნული სასწავლოს გეგმით გათვალისწინებულ სტანდარტებს სახელმძღვანელოებში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ასახვა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, განისაზღვრა საკვლევი კითხვა:

- რა ძირითადი ნარატივებია „საქართველოს ისტორიის“ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის გრიფირებულ სახელმძღვანელოებში 2008 წლის რუსეთ- საქართველოს ომზე;

- რამდენად თანხვედრაშია „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოებში 2008 წლის რუსეთ - საქართველოს ომის შინაარსი და მიდგომა ეროვნულ სასწავლო პროგრამაში გაწერილ გეგმებთან

კვლევის მიზნიდან და საკვლევი კითხვიდან გამომდინარე, გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდი. კერძოდ, სასკოლო კურსის „საქართველოს ისტორიის“ სამი გამომცემლის, “ბაკურ სულაკაური”, “ლოგოს პრესი” და “დიოგენე”, სამი სახელმძღვანელო, სამი მოსწავლის რვეული და სამი მასწავლებლის სახელმძღვანელო. ასევე, თავად ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმის თვისებრივი კონტენტ-ანალიზი. კერძოდ, საკვანძო და ძირითადი ცნებების ამოღება და შემდგომ უკვე შედარებითი ანალიზის საფუძველზე სამი გამომცემლის სახელმძღვანელოებში ასახულ საკითხებთან კვეთისა და განმასხვავებელი არეალის ძებნა.

ისტორიის სახელმძღვანელოს შინარსისა და მიდგომის გასაზომად ჩატარდება განხილული თემებისა და წყაროების ანალიზი, ხოლო მისი შესაბამისობის დასადგენად ეროვნულ სასწავლო გეგმასთან გამოვიყენებთ „კრიტიკული წიგნიერების“ თეორიის სამ ინდიკატორს და ამ სამი ინდიაკტორის მიხედვით დავადგენთ თავსებადობას, ეს არის 1. კრიტიკული და ქრონოლოგიური ნარატივები; 2. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ნარატივებოი; 3. სოციალური კონტექსტი ომის ასახვაზე. აღნიშნული სამი ინდიკატორი დაგვეხმარება დავადგინოთ რამდენად ერწყმის სახელმძღვანელოების შინაარსი ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, რითიც გავზომავთ სახელმძღვანელოებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის თავსებადობის ხარისხს

კვლევაში ასევე გამოყენებულია თვისებრივი კვლევის კიდევ ერთი მეთოდი - სიღრმისეული ინტერვიუ, რომლის დროსაც გამოყენებულია ნახევრადსტრუქტურირებული გზამკვლევი. კვლევის ფარგლებში ჩატარდა რვა სიღრმისეული ინტერვიუ. აღნიშნული ჩატარდა ჰომოგენურ ჯგუფთან, რომელსაც წარმოადგენენ განათლების ექსპერტები. ინტერვიუს ხანგრძლივობა - 30-35 წუთი. რესპონდენტებთან კომუნიკაციისას სრულად არის დაცული ეთიკის ყველა ნორმა. ასევე, გამოყენებულია თვისებრივი კვლევის კიდევ ერთი ტექნიკა, ფოკუს ჯგუფი, რომელიც ჩატარდა ისტორიის მასწავლებლებთან, რათა დაგვედგინა, მათი შეფასებით, როგორაა ისტორის სასკოლო სახელმძღვანელოში 2008 წლის აგვისტოს ომი ასახული. ფოკუს ჯგუფი ჩატარდა 2023 წლის 14 დეკემბერს ერთ ეტაპად და მასში შვიდი მასწავლებელი მონაწილეობდა, კვლევის მეთოლოგიიდან გამომდინარე, გამოვიყენე არაალბათური მიზნობრივი შერჩევა, კერძოდ ჰეტეროგენური შერჩევა. შეირჩა სამი ერთმანეთისგან განსხვავებული გამომცემლობის სახელმძღვანელო : 1. ლოგოს პრესი; 2. დიოგენე; 3. ბაკურ სულაკაური. ასევე, კვლევის მიზანი გახლავთ ჰეტეროგენური შერჩევის საფუძველზე იმის დადგენა, თუ რა გამაერთიანებელი თავისებურებებითა და ფაქტორებით ხდება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ასახვა სამი განსხვავებული გამომცემლის ისტორიის სახელმძღვანელოში. გარდა ამისა, სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფის დროს რესპონდენტების შერჩევისთვის გამოვიყენე ჰომოგენური შერჩევა. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ რესპონდენტები დაკომპლექტებულია ერთი სფეროს წარმომადგენლებით, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუს დროს - განათლების ექსპერტები, ხოლო ფოკუს ჯგუფის დროს, ისტორიის პედაგოგები.

დისკუსია/დებატები:

ისტორიის სახელმღვანელო საგანმანათლებლო ლანდშაფტის ფორმირების ეტაპზე უმნიშვნელოვანესი ბერკეტია, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს სასკოლო განათლებაში. ფაქტების გადმოცემის გარდა, ისტორიის სახელძღვანელოებს მნიშვნელოვანი როლი აქვს კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებაში. გარდა აკადემიური უნარების განვითარებისა, ისტორიის სახელმძღვანელოები გადამწყვეტ როლს თამაშობენ კულტურული ცნობიერებისა და იდენტობის ჩამოყალიბებაში. სწორედ ამიტომ, იდენტობის ჩამოყალიბების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისტორიის სახელმძღვანელოებში თანამედროვე ომის მიუკერძოებლად და ობიექტურად ასახვას, რადგან თანამედროვე ომის მიუკერძოებლად ასახვა სახელმძღვანელოებში არის საჭირო, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ ზუსტი და ყოვლისმომცველი ხედვა ისტორიული მოვლენის შესახებ. სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზმა აჩვენა, რომ ქართული სასკოლო საგანმანათლებლო სისტემისთვის თანამედროვე ომის ასახვა ისტორიის სახელმძღვანელოებში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ექსპერტები თანხმდებიან, რომ სამთავრობო პოლიტიკა გადამწყვეტ როლს ასრულებს ისტორიის სასკოლო სახელძღვანელოებში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ასახვის დროს, ამის ცხადი მაგალითებია კითხვები, რომელთაც სახელძღვანელოში ვაწყდებით : “მართალი იყო თუ არა საქართველოს პრეზიდენტი, როდესაც სამხედრო ძალები შეიყვანა ცხინვალში ??” და “უნდა ვემეგობროთ თუ არა ევროკავშირის ან დასავლურ ქვეყნებს, კი დაგვეხმარნენ ომის დროს, მაგრამ ხომ არ ჯობია, ახლო მეზობლებს უფრო უნდა ვემეგობროთ და მეგობრობას თუ ვერ აღვადგენ, მინიმუმ მშვიდობიანი პოლიტიკა ??”. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სახელძღვანელოში კითხვების ამგვარი ფორმულირება სახელმწიფოს მხრიდან რუსეთთან დათბობის პოლიტიკით არის გამოწვეული, გარდა ამისა, ხელისუფლება კარნახობდა გამომცემლებს, თუ რა დოზით და როგორ უნდა აესახათ 2008 წლის აგვისტოს ომი. სწორედ აქ ჩნდება მთავარი პრობლემა, რომელზეც ექსპერტები თანხმდებიან, ეს არის მონოპოლისტური გამომცემლები, რომლებიც ერთგვარად ანგარიშვალდებულნი არიან ხელისუფლების წინაშე, რომ მათი მითითებები და დირექტივები გაითვალისწინონ სახელძღვანელოს შექმნის დროს, გარდა ამისა, თავად გრიფირების პროცესიც არ არის გამჭვირვალე და კონკურენტული, რაც გამომცემლებს უტოვებს სივრცეს, მიყვნენ იმ დირექტივებს, რომელთაც მათ ხელისუფლება სთავაზობს. სახელმწიფოს პოლიტიკის გავლენაზე სახელმძღვანელოში მიანიშნებს შემდეგი : „2008 წლის აგვსიტოს ქვეთავში წყაროებში ძირითადად რუსეთის პოზიციებია განხილული“ (სიღრმისეული ინტერვიუ, 21 დეკემბერი, 2023 წელი). გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სახელძღვანელოში პოზიციები არის წარმოდგენილი მხოლოდ ერთ პრიზმაში, წყაროებში არ არის განხილული დასავლეთის ინტერესები, პოზიციები და ხედვები, რომელიც უმნიშვნელოვანესია. „ 2008 წლის აგვისტოს ომის გარშემო არ არის ისეთი ხედვები რომელიც დასავლურ ინტერესს აღვივებს მოსწავლეში” (სიღრმისეული ინტერვიუ, 22 დეკემბერი, 2023). ყურადსაღებია, რომ ექსპერტები ხედავენ ხელისუფლების პოლიტიკის გავლენას სახელმძღვანელოში ქრონოლოგიური ნარატივების არასრულად წარმოდგენაში, კერძოდ, „სახელმძღვანელოში არ არის ომის წინაპირობებზე საუბარი, თუ რატომ დაიწყო ომი“ (სიღრმისეული ინტერვიუ, 20 დეკემბერი, 2023). აღსანიშნავია, რომ ქრონოლოგიური ნარატივების შეცვლაზე სახელძღვანელოში მეტყველებს ისიც, რომ ომის დაწყების თარიღად 7 აგვისტოს ნაცვლად გამოყენებულია 8 აგვისტო, რაც ხელისუფლების პოლიტიკის ნაწილია, რათა „სახელმძღვანელოში ქრონოლოგიური ნარატივების იმდაგვაარად შეცვლა მოხდეს რომ

აგვისტოს ომის დაწყების თარიღად მეხსიერებაში 8 აგვისტო დარჩეს“ (სიღრმისეული ინტერვიუ, 22 დეკმბერი, 2023).

აღსანიშნავია, რომ სიღრმისეული ინტერვიუს დროს ექსპერტების მხრიდან აღინიშნა, რომ „ლოგოს პრესის“ მიერ შედგენილ სახელმძღვანელოში ომის შესახებ ტექსტი ნეიტრალურია, ობიექტურია და რაც მთავარია არ იგრძნობა პროპაგანდისტული ნარატივების ელემენტები. გარდა ამისა ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ „ლოგოს პრესის“ სახელმძღვანელოში ნახსენებია წინარე პერიოდი და ისტორიული რაკურსი.

სიღრმისუელი ინტერვიუების ანალიზმა ცხადყო, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის ასახვა არის ზოგადი და პროპაგანდისტული, ამის რამდენიმე მაგალითია : 1. სახელძღვანელოებში აშკარად იგრძნობა ხელისუფლების პოლიტიკის გავლენა; 2. სახელძღვანელოში ქრონოლოგიური ნარატივები დამახინჯებულია და ნაკლოვანებით არის წარმოდგენილი, რადგან სხვა ანალოგიებზე არის საუბარი; 3. შინაარსობრივი ნარატივები ცხადყოფს, რომ ტექსტში არ არის საუბარი რუსეთის დანაშაულებებზე, მათ შორის, ტყვეების გაცვლის ნაწილში და ასევე არ არის განხილული საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებები და 4. მთავარი პრობლემა, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის ასახვას აქვს სახელძღვანელოებში, არის მისი შეუთავსებლობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, კერძოდ, აღნიშნული ქვეთავი მოსწავლეს ნაწილობრივ უვითარებს კრიტკულ და შედარებით ანალიზს, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტია.

ფოკუს ჯგუფი ისტორიის მასწავლებლებთან სასკოლო სახელძღვანელოებში 2008 წლის აგვისტოს ომის ასახვა

ფოკუს ჯგუფი ჩატარდა 2023 წლის 14 დეკებერს ერთ ეტაპად და მასში მონაწილეობდა 7 მასწავლებელი, მათ შორის, ისტორიისა და სამოქალაქოს მასწავლებლები, რომელთაგან 4 იყო მამაკაცი, 3-ქალი. გეოგრაფიული თვალსაზრით, უმრავლესობას წარმოადგენდნენ თბილისში არსებული საჯარო და კერძო სკოლის მასწავლებლები, ასევე კერძო რეპეტიტორები. სადისკუსიო გეგმა მოიცავდა როგორც პედაგოგის გამოცდილებას, თუ როგორ ასწავლიან აღნიშნულ სახელმძღვანელოს თავად, ასევე რა გამოწვევების წინაშე დგას სახელმძღვანელოში 2008 წლის აგვისტოს ომის ასახვა, ასევე იმ პრობლემებზე საუბარს, რომელიც საჭიროებს გადაჭრას და იმ პოზიტიური მოვლენების მიმოხილვას, რომელიც სახელმძღვანელოში საჭიროებს გაძლიერებას.

ფოკუსჯგუფის მსვლელობის პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია და გამოწვევა:

1. დასაბალანსებელია სახელისუფლებო პოლიტიკის გავლენა 2008 წლის ომის ასახვაზე სახელმძღვანელოებში.

- პედაგოგთა აზრით, სახელმძღვანელოში არსებული კითხვების შემთხვევაში იგრძნობა პოლიტიზირებულობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ სახელმძღვანელოში არის იმდაგვარი ნარატივები შემუშავებული, თითქოს, წინა ხელისუფლება წამოეგო 2008 წლის აგვისტოს ომს; ასევე წყაროებში, ძირითადად, რუსეთის პოზიციებია განხილული, რაც ტოვებს

განცდას, რომ ეს პარაგრაფი რუსეთის მიმართ ლმობიერი და არ გაღიზიანების პოლიტიკის კონტურებით არის შემუშავებული.

- პედაგოგთა შეფასებით, 2008 წლის აგვისტოს ომის გარშემო არ არის ისეთი ხედვები, რომელიც დასავლურ ინტერესს აღვივებს მოსწავლეში და რჩება სივრცე, თითქოს, მოვლენები მხოლოდ ერთი მხრიდან არის წარმოდგენილი, სადაც არ არის საპირისპირო აზრების ურთიერთმიმართებაზე საუბარი.
- პედაგოგთა აზრით, სახელმძღვანელოში 2008 წლის აგვისტოს ომის ასახვის გარშემო არ არის დაცული ქრონოლოგიური ნარატივები, კერძოდ, თუ როდის დაიწყო ომი, რამდენ ხანს გაგრძელდა, ასევე სახელმძღვანელოში გამოტოვებულია წინარე ინფორმაცია თუ რა მოვლენები უძღოდა წინ ომის დაწყებას. ასევე სახელმძღვანელოში გამოყენებულია ფრაზა : „ დაპირისპირება დასრულდა“, რაც საკმაოდ სადავო და ორაზროვანია.

„08.08.08 როგორც სახელმწიფოს პოლიტიკის ურთიერთმიმართება, ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში 2008 წლის აგვისტოს ომის ასახვის დროს“ (ნაწყვეტი ინტერვიუდან).

„ჩემი აზრით, 2008 წლის პარაგრაფს წინ უნდა უძღოდეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, კერძოდ როდესაც პირველი ქართული სახელმწიფო იქნა რუსეთის მიერ შთანთქმული და თავის იმპერიას მიერთებული. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ტეხილებია აქ, მერე უკვე ათას ცხრაას ოცდაერთი წლის, ასე ვთქვათ, ოკუპაცია. მნიშვნელოვანი ტეხილი ოთხმოცდათორმეტ, ოთხმოცდაცამეტი წლის ომი ასევე რუსეთთან, თუმცა სახელმძღვანელოში რატომღაც ეს ყველაფერი გაანალიზებული არ არის“ (ნაწყვეტი ინტერვიუდან).

„არ შეიძლება, ასე ვთქვათ, რომ ეს დაპირისპირება დასრულდა. დასრულდა, კი, ბატონო, ტანკებით, ეხლა შეიძლება აღარ ვებრძვით ერთმანეთს, მაგრამ მცოცავი ოკუპაცია გრძელდება. ეს პირიქით, რუსეთის წისქვილზე ასხავს წყალს და აქედან გამომდინარე, ეს მათთვის, პირიქით, კარგია“ (ნაწყვეტი ინტერვიუდან).

2. 2021 წლის ისტორიის გრიფირებულ სახელმძღვანელოებში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ასახვის დროს პარაგრაფი არ მოიცავს ომის ყველა საკვანძო საკითხს

- ფოკუს ჯგუფის წევრებმა ისაუბრეს, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ასახვის დროს გამოტოვებულია მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის 2008 წლის აგვისტოს ომის გარშემო არ არის გმირებისა და მათი საგმირო საქმეებზე წყაროები ან ინფორმაციები, რომელიც მოსწავლეს მიაწვდის დეტალურ ინფორმაციას ამ ომის გმირების შესახებ;
- პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სახელძღვანელოში 2008 წლის აგვისტოს ომის გარშემო არ არის ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები სწორად ასახული, ასევე 2008 წლის აგვისტოს ომის გარშემო სახელმძღვანელოში ტერმინები არაზუსტია, ომის ნაცვლად კონფლიქტია გამოყენებული.
- პედაგოგები თანხმდებიან, რომ სახელმძღვანელოში გამოტოვებულია ქრონოლოგიური ნარატივები, კერძოდ 2008 წლის აგვისტოს ომის გარშემო სახელძღვანელოში ომის ხანგრძლივობაც დასაზუსტებელია, თუ რამდენ დღეს გაგრძელდა, ასევე

სახელმძღვანელოში 2008 წლის აგვისტოს ომის გარშემო სახელმძღვანელოში არ არის ზუსტი ინფორმაცია, რა რაოდენობის ჯარი გვებრძოდა და რა რაოდენობის ჯარი გვყავდა.

- მასწავლებელთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სახელმძღვანელო ტენდენციურია, პროპაგანდისტულია და სწორედ ეს განაპირობებს, რომ ომის სრული სპექტრი არ არის წარმოდგენილი და მოვლენა არ არის განხილული მრავალი ფოკუსიდან;

3. განახლებას საჭიროებს სახელძღვანელოების გრიფირების პროცესი, აუცილებელია გრიფირების საბჭოების გადამზადება და გამომცემლებს შორის კონკურენციის შექმნა

- ფოკუს ჯგუფის წევრები ერთსულოვნად აცხადებენ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის ასახვაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თავად გრიფირების პროცესი და სახელმძღვანელოს ავტორები, რაც გამოიხატება იმაში, რომ სახელმძღვანელოს ავტორები, ძირითადად, მუდმივად ერთი და იგივე პროფესორები არიან, რომელთაც რეალურად არავითარი შემხებლობა არ აქვთ სასკოლო ცხოვრებასთან;
- მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სხვადასხვა სახელმძღვანელოში კონკრეტული მოვლენის თარიღიც კი განსხვავებულად არის წარმოდგენილი, რომ არაფერი ვთქვათ მოვლენის შინაარსსა და ანალიზზე;
- პედაგოგები თანხმდებიან, რომ გრიფირების პროცესი უნდა გახდეს მეტად გამჭვირვალე, ეს ხელს შეუწყობს 2008 წლის აგვსტოს ომის და ასევე სხვა მოვლენის ობიექტურად წარმოჩენას, თუ საბჭოს წევრები იქნებიან პოლიტიკურად მიუკერძოებლები, ეს შეამცირებს სახელმძღვანელოებში პოლიტიკურ კონიუქტურას და რაც მთავარია, მათი აზრით, „სახელმძღვანელოებზე ნორმალურმა და კვალიფიცურმა“ ავტორებმა უნდა იმუშაონ, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ომს, და კიდევ უფრო მეტად თანამედროვე ომს, ისტორიის სახელმძღვანელოს მხოლოდ პროფესორები არ უნდა წერდნენ.

დასკვნა

საქართველოში, ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებს ხშირად აქვს ხარვეზები,რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს განათლების ხარისხზე. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ასახვა სასკოლო კურსის „საქართველოს ისტორიის“ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის გრიფირებულ სახელმძღვანელოებში ხასიათდება რამდენიმე ნაკლოვანებით, კერძოდ, სახელმძღვანელოში, 2008 წლის აგვისტოს ომის ასახვისას, გამოტოვებულია გარკვეული მოვლენები ან პერსპექტივები, რომლებიც ეფუძნება პოლიტიკურ, კულტურულ ან ეროვნულ მიკერძოებას. ეს შერჩევითი მიდგომა იწვევს ისტორიის დამახინჯებულ წარმოდგენას. ასევე, 2008 წლის აგვისტოს ომის ასახვის დროს არის მრავალფეროვანი პერსპექტივების ნაკლოვანება, რაც გამოიხატება შემდეგში, რომ მოვლენები, ძირითადად, ერთ ფოკუსში არის განხილული და არ არის წარმოდგენილი დასავლური პოზიციები და საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებები.

ყურადსაღებია, რომ ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები 2008 წლის აგვისტოს ომის გარშემო ვერ უზრუნველყოფს საკმარის კონტექსტს მოვლენებისთვის, არ არის ქრონოლოგიური ნარატივები დაზუსტებული. კერძოდ, თუ როდის დაიწყო ომი, რამდენ ხანს გაგრძელდა და რა მოვლენებმა იქონია გავლენა ომის დაწყება - დასრულებაზე.

აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოში ცალსახად იგრძნობა მმართველი პარტიის გავლენა და მათი სახელმწიფო პოლიტიკის ასახვა 2008 წლის აგვისტოს ომის გარშემო. აგრეთვე სახელმძღვანელოში არ არის საუბარი გმირებზე და გმირების ისტორიაზე.

კვლევის ეტაპზე გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი, კერძოდ გამომცემლობა „ლოგოს პრესის“ სახელმძღვანელოში 2008 წლის აგვისტოს ომის გარშემო არსებობს განსხვავებული წყაროები, ასევე წინარე პერიოდის შესახებ ინფორმაცია თუ რა მოვლენები უძღოდა წინ ომს. გარდა ამისა „ლოგოს პრესის“ სახელმძღვანელოში არ არის პროპაგანდისტული ხედვები წარმოდგენილი. კვლევამ აჩვენა, რომ „დიოგენე“-ს სახელმძღვანელოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა 2008 წლის აგვისტოს ომის ასახვაა, ისე რომ ფაქტები არ იყოს დამახინჯებული და მოვლენები ობიექტურად იყოს აღწერილი, რაც შეეხება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას“ აღნიშნულ საკითხს ნაკლებად უთმობს ყურადღებას.

აღსანიშნავია, რომ კვლევამ დაასკვნა სამი გამომცემლის „დიოგენეს“, „ლოგოს პრესისა“ და „ბაკურ სულაკაურის“ სასკოლო კურსის „საქართველოს ისტორიის“ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის გრიფირებულ სახელმძღვანელოებში კრიტიკული და ქრონოლოგიური ნარატივები ნაწილობრივ არის ასახული, სახელმძღვანელოებში ნაკლებად არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ნარატივები და მხოლოდ „ლოგოს პრესის“ შემთხვევაში არის განხილული სოციალური და ომამდე არსებული კონტექსტი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში 2008 წლის აგვისტოს ომის ასახვა საჭიროებს ინკლუზიურ, კრიტიკულ და განახლებულ მიდგომას. ეს მოიცავს სხვადასხვა პერსპექტივის ჩართვას, შინაარსის რეგულარულ განახლებასა და ისტორიული ნარატივების კომპლექსურად გაგების ხელშეწყობას.

ბიბლიოგრაფია

სურგულაძე. მ, კეკელია. ვ, ლაბაძე. რ, მურუსიძე.შ, ქურთუბაძე.მ (2021). საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია. გამომცემლობა „ლოგოს პრესი“.

ახმეტელი.ნ, ლორთქიფანიძე.ბ, ფირცხალაძე. ნ. (2020). ისტორია. გამომცემლობა „დიოგენე“.

Barnes. P. (2022). Learning the wrong lessons:Biases, the rejectiom of history, and single issue-zealotry in modern military thought. Modern war institute.

Bentrovato, D. (2017). History textbook writing in post-conflict societies: From battlefield to site and means of conflict transformation.

Coffman, E. M. (2014). The Embattled Past: Reflections on Military History. The University Press of Kentucky.

Dewey, J. (1916). Democracy and education: An introduction to the philosophy of education. New York: MacMillan.

Freedman, L. (2013). Strategy: A History. Oxford University Press.

Gray, C. S. (2010). War – Continuity in Change, and Change in Continuity.

Lange, R. A., & Kelley, W. T. (1971). The Problem of Bias in the Writing of Elementary History Textbooks. The Journal of General Education

Pacho, T. (2020). Global citizenship education in the era of globalization. IGI Global.

Paxton, R. J. (1999). A Deafening Silence: History Textbooks and the Students Who Read Them. American Educational Research Association

Romanowski.M. (1996). Problems of bias in history textbooks.

Townshend. C (1997). The oxford ilustrated History of modern war. Oxford University Press.

Wineburg, S. (2001). Historical thinking and other unnatural acts: Charting the future of teaching the past. Temple University Press